EDN ეთიკის კოდექსი

დოულების ევროპული ქსელი (EDN) ოფიციალურად შეიქმნა 2011 წელს, რათა დააკავშიროს დოულების ორგანიზაციები ევროპის მასშტაბით და გაიზიაროს საერთო ეთიკის კოდექსი.

დოულას შეუძლია მხარი დაუჭიროს ინდივიდებს, მშობლებსა და ოჯახებს მათ არჩევანში ორსულობის, მშობიარობისა და ადრეული აღზრდის პერიოდში ან ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან პერიოდებში, როგორიცაა დანაკარგი და სიკვდილი.

წევრი ასოციაცია, სასწავლო კურსი ან EDN-ის მეგობარი ეთანხმება დოულების როლისა და ეთიკის შემდეგ განმარტებას:

- დოულები უზრუნველყოფენ ემოციურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას ინდივიდებისთვის, მშობლებისა და ოჯახებისთვის;
- დოულები არ ახორციელებენ სამედიცინო მანიპულაციებს, არ სვამენ დიაგნოზს და არ აძლევენ რჩევებს;
- დოულები მხარს უჭერენ ინფორმირებულ არჩევანსა და ინფორმირებულ თანხმობას, მშობლების გადაწყვეტილებაში ყოველგვარი ჩარევის გარეშე;
- დოულები ეპყრობიან კლიენტებს, ოჯახებს, კოლეგებს და ყველა სხვა პროფესიონალს პატივისცემით და თავაზიანად;
- დოულები პატიოსნად და გამჭვირვალედ გასცემენ ინფორმაციას საკუთარი გამოცდილების, უნარებისა და საზღვრების შესახებ;
- დოულები პატივს სცემენ კლიენტების პირად ცხოვრებას და იცავენ
- კონფიდენციალურობას მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციების (GDRP) თანახმად;
- დოულები მუდმივად ვითარდებიან - პიროვნულად და პროფესიულად;
- დოულებს შეაქვთ საკუთარი წვლილი მათ გარშემო მყოფი ადამიანების ცხორებაში და ფართო საზოგადოების მიმართ ზრუნვაში.